დანართი №2

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნათია ქაჯაია

**წევრები:**

სახელი, გვარი თამარ ნასყიდაშვილი

სახელი, გვარი ეკატერინე პატიეშვილი

სახელი, გვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........

..........

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 208183605

სახე:

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

**II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს N759 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (ჯგუფის თავმჯდომარე - ნათია ქაჯაია, ჯგუფის წევრები - თამარ ნასყიდაშვილი, ეკატერინე პატეიშვილი) 2018 წლის 29 და 30 აგვისტოს განახორციელდება ექსპერტთა ვიზიტი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი", მისამართზე: ქ.თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქ. N10.
დასახელებული ბრძანების შესაბამისად, ვიზიტზე მივლინებულ იქნა აგრეთვე ცენტრის მოდულურ/დუალური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ბაზების სპეციალისტი მარინე მორჩილაძე.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

ვიზიტის მიზანია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „ამზომველ-ტოპოგრაფის", „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებლის", „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის", „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტის" და „ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

[ქალაქი, წელი]

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

„ამზომველ–ტოპოგრაფის", „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებლის", „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის", „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტის" და „ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [illegible]

[ქალაქი, წელი]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | | | |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის | **მუხლი 7 /** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

[ქალაქი, წელი]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | პუნქტი ბ) | | |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია დაწესებულებაში პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიული სტუდენტებისათვის; | | | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | ☐ |
| 3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | მუხლი 8 | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

(ქალაქი, წელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი" საინჟინრო მიმართულების სფეროში ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული განათლების სივრცეში. კოლეჯის სამოქმედო გეგმებში შედის ასეთივე ლიდერული პოზიციის დაკავება ამიერკავკასიის რეგიონშიც.

დაწესებულებას აქვს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების მონაწილეობაში მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება, რომლის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლეჯის მატერიალური რესურსი, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, გარემონტდა შენობა და აღიჭურვა სასწავლო ლაბორატორიები, შემუშავდა ახალი პროფესიული სტანდარტები და პროგრამები, განხორციელდა პროფესიული პედაგოგების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შეიქმნა სახელმძღვანელოები.

სხვადასხვა პროექტების ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან.

2015 წელს კოლეჯმა დაიწყო ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ხარისხის მართვის მოდელის დანერგვა. EFQM-ის მიერ დაწესებული პროცედურების წარმატებით გავლის შედეგად, დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სულყოფილებისაკენ" მოდელის სერტიფიკატით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

______________

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, კოლეჯის ხელმძღვანელობა ატარებს მრავალ ღონისძიებას, შეხვედრებს ორგანიზაციებთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, მოსახლეობასთან, რის შედეგადაც იზრდება პროფესიული განათლებით დაინტერესებულთა პირთა რაოდენობა.

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. მოდულური პროგრამების და მოდულების ადაპტაცია ცენტრის მიერ დაწესებულებებისადმი მოწოდებული რეკომენდაციების შესაბამისად;

2. სასურველია მოდულის აღწერილობაში მითითებული იყოს მოდულის განხორციელების ადგილი;

3. სხვადასხვა მარეგულირებელ აქტებში გაწერილი სასწავლო პროცესის წესების ნაცვლად შემუშავდეს ერთი წესი საკანონმდებლო მოთხოვნების და ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, რათა გამარტივდეს მისი გამოყენება ადამიანური რესურსისა და პროფესიული სტუდენტების მიერ. ამასთან, შეიქმნას საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი აქტების კონსოლიდირებული ვერსიები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ხარვეზები აქტებში ხშირად განხორციელებული ცვლილებებით და დამატებებით.

4. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით ახალი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საჯარო რეესტრში ასახოს შესაბამისი მონაცემები.

5. მეტად არგუმენტირებულად იყოს დასაბუთებული კონკრეტული პროგრამების დამატების თაობაზე მოთხოვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

*(ქალაქი, წელი)*

6. სასურველია დასამატებელი პროგრამების განმახორციელებელი პირების რაოდენობა გაიზარდოს პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ რაოდენობასთან ფარდობაში. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამების დამატების შემთხვევაში საჭიროებისდა მიხედვით გაზრდიან პროფესიული განათლების მასწავლებელთა რიცხვს,თუმცა სწავლის პროცესის უკეთ წარმართვისთვის, უმჯობესია კოლეჯს გაფორმებული ჰქონდეს წინარე ხელშეკრულებები პროფესიული პროგრამების/მოდულების რამოდენიმე განმახორციელებელთან განსაკუთრებით სპეციალობის მოდულებში.

7. სასურველია მოდულების სასწავლო რესურსებში გარდა ელექტრონული რესურსებისა,დამატებული იქნას სხვა ალტერნატიული სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით იმ მოდულებში, სადაც მხოლოდ ერთი სასწავლო რესურსია მითითებული.

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოვამზადოთ მაღალი რანგის პროფესიონალები და შევქმნათ პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის.

ლიდერობა, მომხმარებლის ინტერესის გათვალისწინება, ეფექტიანი მართვა, ინოვაციების დანერგვა, ის ზოგადი ღირებულებებია, რომლებიც პრიორიტეტია სასწავლებლისათვის.

კოლეჯის ხედვაა, იყოს ერთ-ერთი წამყვანი სასწავლებელი სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით;

- შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები სამშენებლო სფეროს მიმართულებით;
- სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრის მომზადება;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება პიროვნებაზე ორიენტირებული, მოქნილი მიდგომის დანერგვით;
- სოციალურ პარტნიორთა ჩართულობით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა;
- კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი სასწავლო ფართების აღჭურვილობისა და რეაბილიტაციისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________________

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 მარტის N17, N18, N19 გადაწყვეტილებების შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს 21 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან უმეტესობა საინჟინრო სფეროს მიეკუთვნება.

ვიზიტის პერიოდში ესპერტებმა შეისწავლეს დაწესებულებაში განხორციელებული და დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამები-მათი დაგეგმვა, შემუშავება, დამტკიცება, მონიტორინგის, შეფასების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების მექანიზმები. განხილული იყო როგორც აღნიშნული ეტაპების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე აღნიშნული ეტაპების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" წესდების მუხლი 5, „ე" და „ი" ქვეპუნქტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - კოლეჯის დირექტორი. საგნობრივი, ასევე მოდულური პროგრამები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით (ბრძანება N22 29.08.2014; ბრძანება N348 27.07.2017;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ნ[illegible]

*[ქალაქი, წელი]*

ბრძანება N532
ბრძანება N376 18.08.2017; ბრძანება N382, N383 23.08.2017;ნ ბრძანება N387 25.08.2017;
24.11.2017; ბრძანება N486-30.08.2018).
დაწესებულების საგნობრივი პროგრამები ეფუძნება შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს.
საგნობრივი პროგრამების შემთვევაში ექსპერტებმა გადაამოწმეს პროგრამების ხანგრძლივობა და
მათი დასრულების ვადები. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2014 წლის 7 ივლისს N 141/1
ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" არსებული
პროფესიული პროგრამების მილევად რეჟიმში გამოცხადების შესახებ", ასევე დირექტორის 2017 წლის
16 ნოემბრის N 504 ბრძანებით დამტკიცებული „დოკუმენტი „2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე
განსაზღვრული ჯგუფების მოძრაობისა და ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე პროფესიული
პროგრამების შესაბამისი მოდულების დაწყება-დამთავრების თარიღები". აღნიშნული დოკუმენტების
ანალიზის მიხედვით, კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საგნობრივი პროგრამა დასრულდება
2019 წლის 1 იანვრამდე, რაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს
კანონის „გარდამავალი დებულებანის" მუხლი 40-ით.
დაწესებულებამ წარმოადგინა 2018 წლის 17 მაისის ბრაძანება N274-ით დამტკიცებული
„პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების
წესი", რომლის მიხედვითაც პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ძირითადად
ეფუძნება რაიონში არსებული საწარმოების და რაიონის სპეციფიკას, დაწესებულების გამოცდილებას,
შრომის ბაზრისა და საზოგადოების მხრიდან მოთხოვნების ანალიზს. კოლეჯმა წარმოადგინა
დამსაქმებელთა გამოკითხვის ანგარიში კადრების საჭიროებების მიმართულებით, სადაც მოცემული
იყო 37 კომპანიის გამოკითხვის შედეგები (დათარიღებული 2018 წლით) .
ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო
დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო შემდეგი პროგრამები,
რომლის დამატება და განხორციელებაც სურს კოლეჯს, კერძოდ:

1) „აზომველ-ტოპოგრაფი";
2) „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი";
3) „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი";
4) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი";
5) „ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი".

შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ მოცემული პროგრამების მოდულები არ არის ადაპტირებული,
კერძოდ: არ არის მითითებული მოდულის განხორციელების მისამართები; მიუხედავად ცენტრის
მიერ „მოდულის დამხმარე ჩანაწერების" ნაწილში შემოთავაზებული სწავლების მეთოდოლოგიის
რამდენიმე ვარიანტისა, არც სწავლებისა და არც პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკუთარი
მეთოდოლოგია არ არის განსაზღვრული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ და შშმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკა, შემუშავებულია სასწავლო გეგმები. მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 25 ივლისის N346 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოდულარულ) პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი", პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართ მოთხოვნები ასევე წარმოდგენილია სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრის „შინაგანაწესის" ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს „პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებს".

ექსპერტებების მიერ შესწავლილი იქნა დასამატებელი პროფესიული პროგრამების პრაქტიკული სწავლების კომპონენტი.

სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" მიერ საწარმო პრაქტიკის გავლის წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 30 მარტის N60 ბრძანებით, დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმო პრაქტიკის მიზანი, მისი ორგანიზაციის წესები, ჩართულ მხარეთა უფლება-მოვალეობები, ექსპერტებმა შერჩევითი გადაამოწმეს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები, პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული საწარმო პრაქტიკის დღიურები, გაესაუბრნენ საწარმო პრაქტიკის მენეჯერს.

ვიზიტისთვის შერჩეულ იქნა შემდეგი ობიექტები:

- ➢ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" („შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები", პროფესიული სტუდენტების გაცნობითი/საწარმოო პრაქტიკის გავლა და სტაჟირება);
- ➢ ი/მ „აკაკი გურგენიძე"(„ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის" პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტი);
- ➢ შპს „ელიტ სერვისი"(„ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკისა და შეკეთების" პროგრამების პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკა);
- ➢ შპს „კირკიტაძე და კომპანია"(„ამზომველ-ტოპოგრაფის" პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფა).

ვიზიტის პერიოდში მოხდა გასაუბრება კომპანიების ხელმძღვანელებთან და ინსტრუქტორებთან. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ზოგიერთი ინსტრუქტორი ამავდროულად არის კოლეჯში ამავე პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, ისინი კარგად იცნობენ პროგრამას და მოდულებს, განხორციელების თავისებურებებს. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის დაწყებამდე ეცნობიან უსაფრთხოების წესებს. პროფესიული სტუდენტები ყოველდღიურად ავსებენ საწარმო პრაქტიკის დღიურს - აღნიშნავენ ყოველდღიურ აქტივობებს, რასაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*

*დანართი №2*

ხელმოწერით ადასტურებს ინსტრუქტორი, მათ აქვთ კომუნიკაცია კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, აწარმოებენ აღრიცხვის ჟურნალს. პრაქტიკის ბოლოს ინსტრუქტორები სტუდენტებს აძლევენ დახასიათებას, რომელიც განიხილება, როგორც საწარმო პრაქტიკის შეფასების ერთერთი კომპონენტი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი დადებითი დამოკიდებულება პრაქტიკის მიმდინარეობის, მათ მიერ გამომუშავებული პრაქტიკული უნარების, სასწავლო პრაქტიკული გარემოს და პედაგოგების მიმართ, მათ გაცნობიერებული აქვთ არჩეული პროფესიის მნიშვნელობა და საჭიროება.

ცალკეული პროფესიული პროგრამების ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები/ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან/საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

**1. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

- ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი''(19.07. 2018 );
- შპს ,,გარდენია'' (12.04. 2017);
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (29.03. 2016);
- სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო''-მხარეები უზრუნველყოფენ კოლეჯის მიერ მომზადებული პროგრამების ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები'', ,,გარემოს დაცვის ტექნიკოსი'' პროფესიული სტუდენტების გაცნობითი/საწარმოო პრაქტიკის გავლას და სტაჟირებას (01.02. 2018).

**2. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

- შპს ,,სოციალური საწარმო დადარი''(02.05.2018);
- ი/მ ,,აკაკი გურგენიძე'' (24.03. 2017);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი'' (10.01.2013);
- ს.ს. ,,თრიალეთი'' საფირმო ნიშანი ,,ხელოსნების ქალაქი'' (12.09.2016);
- შპს ,,ლუკაზო'' (02.07.2017);
- შპს ,,ენისი'' (02.03. 2018);
- შპს ,,ოცნების სახლი'' (05.02. 2018);
- შპს ,,ალექსანდრა ბოკუჩავა'' (06.07. 2018);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

3. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

- შპს ,,ჩემი ოფისი''(შეიცვალა სახელწოდება-შპს ,,ელიტ სერვისი'' (06.11. 2015);
- ი/მ ,,ერეკლე ბოგვერაძე'' (19.03. 2015);
- შპს ,,მაიჯიპიესი'' (19.03. 2015);
- შპს ,,პრიზმა'' (04.04. 2014);
- შპს ,,ახტელი'' (20.06. 2013);
- შპს ,,ნოვა'' (29.06. 2018);

4. ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- ,,შპს ,,ნოვა'' (29.06. 2018);
- შპს ,,EMSERVIS'' (2016);
- კომპანია ,,AG Telekom'' (21.01. 2016);
- შპს ,,აზია ენერჯი'' (09.07. 2014);
- შპს ,,ტექნოპაუსი'' (09.06. 2014);
- შპს ,,ჯეოტურანი'' (19.12. 2013);
- შპს ,,შენი სახლი'' (12.11. 2013);

5. ამზომველ-ტოპოგრაფის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- შპს ,,ბიემჯი გრუპი'' (18.08.2015);
- შპს ,,ი.ჯი.ეი'' (04.04. 2014);
- შპს ,,ნუროლ საქართველო'' (01.04. 2014);
- შპს ,,კირკიტაძე და კომპანია'' (10.05. 2013);
- სს ,,სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკორდი''-ს ფილიალი საქართველოში ,,აკორდ ჯორჯია'' (10.05. 2013);
- შპს ,,მამული-2'' (25.04. 2013);
- შპს ,,როსი'' (12.04. 2013);
- შპს ,,გეო-სეტინგი'' (11.04. 2013);

პროფესიულ განათლების სისტემაში სწავლების ხარისხის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს. დაწესებულებაში ტარდება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც დგება მონაცემთა ბაზა. შეინიშნება დასაქმების სტაბილური დინამიკა. ძირითადად პროფესიით საქმდებიან საინჟინრო მიმართულებების კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

ვიზიტი მიმდინარეობდა ინტენსიური ინტერვიუირების რეჟიმში.

ჯგუფის წევრებმა ინტერვიუირება ჩაუტარეს კოლეჯის დირექტორს; დირექტორის მოადგილეს, იურისტს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, საწარმო პრაქტიკის მენეჯერს, მოდულური პროგრამების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, ასევე საწარმო პრაქტიკის ინსტრუქტორებს და სხვა.

*საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა:* ლიბერალური განათლების (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | „ამზომველ–ტოპოგრაფი" | 120 |
| 2 | „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი" | 71 |
| 3 | „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი" | 131 |
| 4 | „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი" | 150 |
| 5 | „ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი" | 93 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებებით;
- დირექტორის ბრძანებით N274-17.05.2018;
- დირექტორის ბრძანებით N486-30.08.2018;
- საგანმანათლებლო პროგრამებით და მოდულებით;
- დაწესებულების წესდებით და შინაგანაწესით;
- დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაციით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

(ქალაქი, წელი)

- მოდულური პროგრამებით, მოდულებით;
- სასწავლო გეგმებით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ინსტრუქტორების და პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირებით;
- მემორანდუმებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" ვებგვერდზე (http://www.spectri.org/) განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2018 წლის კატალოგი (http://www.spectri.org/files/katalogi-2017-spectri.pdf), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ: მისი ისტორია, ძირითადი მიღწევები, პარტნიორი ორგანიზაციები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კოლეჯის მისია. აქვეა განთავსებული სწავლების ფასეულებები, სამუშაო პრინციპები, კოლეჯის ხედვა და საკონტაქტო ინფორმაცია.

კატალოგში არის ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, თითოეული პროგრამისთვის ცალცალკე არის აღწერილი სწავლების ხანგრძლივობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შესაბამისი კრედიტების რაოდენობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი და შედეგი. კატალოგს თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების წესი. ანონსის სახითაა მოცემული ის პროგრამები, რომლის განხორციელებასაც მომავალში გეგმავს დაწესებულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- დაწესებულების ვებგვერდით http://www.spectri.org/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამის პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის პროფესიულ სტანდარტთან შედარებით.
- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________

______________

[ქალაქი, წელი]

*დანართი №2*

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა, აპლიკანტთა პირველად და შემდგომ საფეხურებზე მიღების დაგეგმვა-განხორციელების დამტკიცებული მოდელი, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე ჩასარიცხი აპლიკანტების მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ წესები.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება N110-ა, 06.08.2014
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება N107-ა, 27.07.2017
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება N101-ა, 27.07.2017
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება N485, 29.08.2018
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება N481, 08.11.2017
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი'' დირექტორის ბრძანება)
- დანართი (არასრულწლოვანი სტუდენტის ხელშეკრულება)

**შეფასება:**

☒ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2014 წლის 6 აგვისტოს N110-ა, ბრძანებით. ექსპერტებმა გადაამოწმეს აღნიშნული წესის განხორციელება და დარწმუნდენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. გაფორმებულია მემორანდუმები შემდეგ სასწავლებლებთან:

1) „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია" – 06.12.2017;
2) „აისი"- 15.06. 2016;
3) „თეთნულდი" -15.05. 2015;
4) „სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი" -30.07.2014;
5) „იბერია" -10.12. 2013;

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

**შეფასება:**

☒ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, მარეგულირებელი დოკუმენტაცია, პრაქტიკული განხორციელების მტკიცებულებანი.

ექსპერტებმა შეამოწმეს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის შემდეგი დოკუმენტაცია:

- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 24 აპრილის N 38-ა ბრძანებით დამტკიცებული 2017-2020 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა".
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 27 იანვარი N 3-ა ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ მასწავლებლის საქმიანობის შეფასების წესი და ფორმები"
- სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის დირექტორის 2015 წლის 18 ნოემბრის N105 ბრძანებით დამტკიცებული „მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის, შიდა მონიტორინგის ინსტრუქციისა და შიდა მონიტორინგის გეგმის" შესახებ
- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 27 ივლისის N 349 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა",

აღნიშნული დოკუმენტაცია ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს (დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-რაგირება) და აღწერს ციკლს მთლიანობაში და მის ცალკეულ ეტაპებს.

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და ხარისხის განვითარების ევროპული ფონდის EFQM-ის პროექტის „გზა სრულყოფისაკენ" ფარგლებში შემუშავებული მასწავლებელთა შეფასების მოდელის შესაბამისად სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ჩატარდა გამოკითხვა შემდეგი მიმართულებებით:

1)სტუდენტების მიერ მასწავლებლების შეფასება;

2)სტუდენტების მიერ მასწავლებლების შეფასების შედეგების ანალიზის ფურცელი, თითოეული მასწავლებელის მიერ მიღებული ქულების მითითებით;

2)დამსაქმებლების მოთხოვნების, მოლოდინებისა და საჭიროებების განსაზღვრა;

3)ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება

4)მეცადინეობაზე დაკვირვების აქტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

გამოკითხვის შედეგების შესახებ მომზადდა ანგარიშები და სტატისტიკა, შედეგების ანალიზის შემდგომ დაისახა სამოქმედო გეგმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო აღნიშნული სისტემის სხვადასხვა ეტაპის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ:

სასწავლო პროცესის შემოწმების შედეგად გამოცემული დირექტორის ბრძანება (17.10.2017, N155-კ), მასწავლებლების დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლი და ანალიზის შედეგად ექსპერტებმა დაასკვნეს შემდეგი:

1) დაწესებულებაში შემუშავებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ფუნქციონირებას;

2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ამ ეტაპზე საკმარისი მოცულობით ფუნქციონირებს;

3) გამოკითხვაში ჩართული სამიზნე ჯგუფი მოიცავს პროფესიული სტუდენტებს, დამსაქმებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს;

4) ექსპერტების აზრით, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კითხვარები და ფორმები ელექტრონული სახით იქნეს წარმოდგენილი .

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებებით
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ფუნქციონირების დამადასტუდებელი მტკიცებულებებით;
- კითხვარებით;
- ანგარიშებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ...........................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ...........................

...........................

(ქალაქი/წელი)

*დანართი №2*

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, თბილისში, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10–ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც 27.10.2007 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯისთვის „სპექტრი" მისი არსებობის ვადით, კერძოდ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 13 შენობა–ნაგებობა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია [redacted]

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ზემოთაღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე არსებულ უძრავი ქონების მონაცემთა ბაზებს, 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებულ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან. საინვენტარიზაციო აქტის შესწავლისა და დაწესებულების წარმომადგენელტან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ერთ-ერთი შენობა-ნაგებობის (767.04 კვ.მ) დემონტაჟი განხორციელდა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მონაცემებისგან განსხვავებული ფაქტობრივი მდგომარეობაა. საინვენტარიზაციო აქტის შესაბამისად და დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით 11 117.58 კვ.მ არის მათ სარგებლობაში.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით ახალი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საჯარო რეესტრში ასახოს შესაბამისი მონაცემები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1. | თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10 | 11 117.58 კვ.მ |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერით სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულებით;
- საინვენტარიზაციო აქტით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 12.03.2010 წლის N16/668/9-10 წერილით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებით.

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**ზ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულება ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს/ინვენტარს. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პროექტორები, ლაბორატორიის, სახელოსნოების აღჭურვილობა.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო რესურსით, რომლებიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაძენად დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულებაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის შესახებ აღწერილობის აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქალაქი, წელი*

- ანგარიშფაქტურებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- საბუღალტრო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ელექტრონული პროგრამით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი უზრუნველყოფილია სველი წერილებით, ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, გათბობის ცენტრალური სისტემით. ბუნებრივი განათების შესამლებლობა აქვს ყველა ყველა აუდიტორიას, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისთვის გამოიყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებით;
- საინვენტარიზაციო აქტით;
- საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- მომსახურების გადახდის ქვითრებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

[ქალაქი, წელი]

- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ბიბლიოთეკა მოწყობილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: სამკითხველო სივრცეში განთავსებულია კარადები, წიგნის თაროები, კომპიუტერები, ასლგადამღები და სკანერის აპარატურა.

წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი და არსებობს ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკა მუშაობს დებულებით დადგენილი წესით. სათანადოდაა მოწყობილი სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. დაწესებულება საბიბლიოთეკო რესურსების ინვენტარიზაციას ახორციელებს 5 წელიწადში ერთხელ.

ბიბლიოთეკაში დასაქმებულია უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს გამოცდილება საბიბლიოთეკო საქმის მიმართ და გავლილი აქვს კურსები შესაბამის სფეროში.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეეძინათ ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამა, რაც დაინტერესებულ პირს საბიბლიოთეკო ფონდში არსებული რესურსების უკეთესად მოძიების და დაჯავშნის შესაძლებლობას მისცემს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- საინვენტარო წიგნით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ინტერვიურებით;
- ფაქტობრივივი მდგომარეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. დაწესებულების ადამიანურ რესურსს სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის სარგებლობაში აქვთ კომპიუტერული ტექნიკა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულებაში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის შესახებ აღწერილობის აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ანგარიშფაქტურებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- საბუღალტრო პროგრამით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა eflow-ის მეშვეობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მიხედვით და დაწესებულების მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციით.

კოლეჯის საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვიზიტის პერიოდში იმყოფებოდა შვებულებაში და მისი ფუნქციები დაკისრებული ჰქონდა დაწესებულების სხვა თანამშრომელს.

აღსანიშნავია, რომ ბრძანებები და ხელშეკრულებები არ იყო აღრიცხვის ჟურნალებში დარეგისტრირებული მიმდინარე მარტის თვის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგებოდა დაწესებულებაში მოქმედ საქმისწარმოების წესს. ვიზიტის პერიოდში აღმოფხვრილ იქნა აღნიშნული დარღვევა და დაწესებულების მიერ დარეგისტრირდა აღურიცხავი აქტები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 09.08.2018 წლის N113-ა ბრძანებით დამტკიცებული არქივის წარმოების დებულებით;
- დირექტორის 04.09.2015 წლის N90-ა ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- დირექტორის 04.09.2015 წლის N89-ა ბრძანებით სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი" eflow

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში ჩართვის შესახებ;

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები, შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, განგაშის ღილაკი და კვამლის დეტექტორები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით აქტი, რომელიც შესაბამისობაშია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სხვა ნორმატიული აქტებთან.

ბ) საევაკუაციო გეგმა განთავსებულია შენობის ყველა სართულზე. შედგენილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესაბამისად.

გ) შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; შენობაში მოწყობილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო ოთახი სათანადო ინვენტარით და საბუღალტრო დოკუმენტაციით დადასტურებული შეძენილი მედიკამენტებით. მედდის საშტატო ერთეულზე დანიშნულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი.

დ) დაწესებულების შენობა-ნაგებობა და მიმდებარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერების მეშვეობით, რომლის მონიტორინგის და მეთვალყურეობის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს დაცვის სამსახურს, რომელსაც ევალება დაწესებულებაში წესრიგის დაცვის კონტროლი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საევაკუაციო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

- ინვენტარიზაციის აქტით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით;
- დირექტორის ბრძანებით ,,საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, კოლეჯის საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემის, რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხის, კოლეჯის გენგეგმისა და სართულების გეგმების საევაკუაციო სქემების დამტკიცების შესახებ;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: როგორც სასწავლო კორპუსში, ასევე დაწესებულებას აქვს მოწყობილი ადაპტირებული გარემო, როგორც სასწავლო კორპუსში, ასევე სახელოსნოებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სათანადო სველი წერტილით და გადაადგილებისათვის საჭირო პანდუსით. შენობაში დამონტაჟებული სართულებს შორის გადაადგილებისათვის ლიფტი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის აქტით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: __________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: __________

*(ქალაქი, წელი)*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდი www.spectri.org ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, იგი ორენოვანია, მასზე განთავსებულია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ დაწესებულების მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, კატალოგი, საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, მიმდინარე პროექტები, კოლეჯის მიღწევები, მესამე პირებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია, ფოტოგალერია, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, 2017-18 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, ტენდერები, სიახლეები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ–გვერდით –www.spectri.org
- დომენის და ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებით;
- გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრებით;

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებულია 6 (ექვს) წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელთა მიზნები და ამოცანები თავსებადია კოლეჯის მისიასთან, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევას, შემუშავებულია დაინტერესებული პირების ჩართულობით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

თითოეული მიზანი ჩაშლილია ქვემიზნებად და ამოცანებად. სამოქმედო გეგმა გაწერილია დეტალურად, ითვალისწინებს შესასრულებელ ამოცანებს, შესრულების ვადებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს და ინდიკატორს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და swot ანალიზი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით;
- swot ანალიზით;
- ინტერვიურებით დაწესებლების წარმომადგენლთან.

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

*[ქალაქი, წელი]*

## 3. ადამიანური რესურსი

### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით დაწესებულებას აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან და აკმაყოფილებს თანამდებობრივ უფლებამოსილებებს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. „მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N7-ა ბრძანებაში არსებულ რეგულაციებში იყო გარკვეული უზუსობა, რაზეც მიეცა მითითება დაწესებულების წარმომადგენლებს, ეს ძირათადად ეხებოდა დოკუმენტაციის წარდგენის გადამისამართებას, რაც გამოსწორებული იქნა მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანით. ასევე მიეცათ მითითება პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში დაზუსტებული ყოფილიყო ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის მექანიზმები. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ვიზიტის პირველივე დღეს დირექტორის 125-ა ბრძანებით.

პერსონალის კვალიფიკაცია, სრულად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ მეტი ჩართულობაა საჭირო პროგრამის ხელმძღვანელებსა და შესაბამისი მოდულების განმახორციელებელ პირებს შორის. დაწესებულების პერსონალის შესახებ ინფორმაცია კვალიფიკაციის, გამოცდილების, შესაბამისი მოდულების, გავლილი ტრენინგების შესახებ ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 10.08.2018 წლის დირექტორის N114-ა ბრძანებით პერსონალის საკვალიფიკაციო მოხოვნების წესის შესახებ;
- დირექტორის მიერ დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესით;
- 29.08.2018 წლის დირექტორის №125-ა ბრძანებით „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის შესახებ";
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროგრამების დამატების და პროფესიული სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ზღვრული რაოდენობის და ცალკეულ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრის დამტკიცებული მეთოდოლოგია. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 5 საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევაში დაწესებულება ითხოვს 285 პროფესიული სტუდენტის დამატებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამების მიხედვით დაფიქსირებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოთხოვნილია წლიური, ანუ ორჯერადი-საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებების მიხედვით. განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა კი გაწერილია 39 პირზე. აღინიშნა ის გარემოებაც, რომ პროგრამების დამატების და განხორციელების რეალური სურათის მიხედვით გეგმავენ დამატებითი კადრების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზიდვას. ამ მხრივ კითხვა გაჩნდა კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით.პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან დაზუსტდა, რომ ერთ მიღებაზე გეგმავენ 45 ადგილის გამოცხადებას. დაწესებულებას აქვს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, თუ სწავლებას განახორციელებენ ორ ცვლაში, მაშინ სპეციალობის მოდულების სწავლების დანართში დაფიქსირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები (2 პირი) უზრუნველყოფენ. თუმცა საგნობრივ პროგრამებზე დაწესებულებას ამ მიმართულებით ყავს მეტი პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*

მასწავლებელი და უმჯობესია თავიდანვე გათვალისწინებული და გამოყენებული იყოს ეს კადრი პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის.

ვიზიტის დროს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებლები უშუალოდ ჩართულნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების სტანდარტის შემუშავების და პროგრამების შექმნის პროცესში, ფლობენ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, კერძოდ მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომებში, სწავლების და სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდების და მეთოდოლოგიის საკითხებში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- 15.03. 2018 წლის დირექტორის №145 ბრძანებით კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და კვოტის განსაზღვრის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/პირადი საქმეებით;
- 10.08.2018 წლის დირექტორის N114-ა ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;
- კომპიუტერული კლასების ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. შრომითი მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ............

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ............

............

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი შინაარსით: კონკურსის მონაწილეობის მსურველი პირი დოკუმენტაციას წარადგენს კომისიის მდივანთან, რომელიც კონკურსის დასრულების შემდეგ გადასცემს კანცელარიას. ამ ჩანაწერის მიხედვით კოლეჯის საქმისწარმოების წესი ირღვეოდა, რადგან კონკურსში მონაწილეობის განცხადება, როგორც შემოსული კორესპონდენცია, რეგისტრირდება კანცელარიაში საქმისწარმოების ერთიანი წესიდან გამომდინარე. კოლეჯის იურისტთან გასაუბრების შემდეგ აღნიშნული ჩანაწერი ცვლილების შეტანის გზით გასწორდა დირექტორის ბრძანებით (ბრძ.N489 30.08.2018).

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს, აღწერილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული არსებითი პირობები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის ბრძანებით N7-ა (2 თებერვალი, 2015 წელი) პროფესიული განათლების მასწავლებელთა აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესით;
- დირექტორის ბრძანებით N114-ა (10 აგვისტო, 2018 წელი) პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;
- დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N489 ბრძანებით;
- შრომის ხელშეკრულებებით;

**შეფასება:**

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

______

*(ქალაქი, წელი)*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| „აზომველ-ტოპოგრაფი" | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში; სპეციალიზაციის კოდი 040686 | 90 | 120 | ქართული | ქ.თბილისი, ჭიჭინაძის ქ.10 | 45 | 45 (ორ მიღებაზე) |
| „ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი" | მესამე | ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სპეციალიზაციის კოდი 040567 | 56 | 71 | ქართული | ქ.თბილისი, ჭიჭინაძის 10 | 45 | 30 (ორ მიღებაზე) |
| „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი" | მეხუთე | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სპეციალიზაციის კოდი 040174 | 101 | 131 | ქართული | ქ.თბილისი, ჭიჭინაძის 10 | 90 | 90 |
| „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შრომის | 120 | 150 | ქართული | ქ.თბილისი, ჭიჭინაძის 10 | 60 | 60 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

(ქალაქი, წელი)

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტექნოლოგიების სპეციალისტი" | | უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში სპეციალიზაციის კოდი 041364 | | | | | | |
| | „ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი" | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში სპეციალიზაციის კოდი 080393 | 78 | 93 | ქართული | ქ.თბილისი, ჭიჭინაძის 10 | 45 | 45 (ორ მიღებაზე) |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

სულ – 38 ფურცელი.

03.09.2018 წელი

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*